



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080154725859819

№ 1415

11 / მარტი / 2019 წ.

**შპს „ნივე ჯგუფის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „იუსტიციის სახლი“;

**ტენდერების ნომრები:** NAT180014203 და NAT180014365;

**შესყიდვის ობიექტი:** 39100000 – ავეჯი;

**მიმწოდებელი:** შპს „ნივე ჯგუფი“ (ს/ნ: 400159190);

**წერილობითი შეტყობინებების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 15 და 17 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „იუსტიციის სახლის“ 2019 წლის 15 იანვრის № 113 და 17 იანვრის № 139 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 377 და № 487), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ნივე ჯგუფის“ (ს/ნ: 400159190) მიერ NAT180014365 და NAT180014203 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2018 წლის 26 ოქტომბრის № NAT02-199/18 და 2018 წლის 8 ნოემბრის № NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „ნივე ჯგუფის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [nivegroup@gmail.com](mailto:nivegroup@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 17 იანვრის № 193 და 22 იანვრის № 247 წერილებით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 15 იანვრის № 113 წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 26 ოქტომბრის № NAT02-199/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით), მისთვის უნდა მიეწოდებინა საოფისე ავეჯი. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 147 470 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 28 თებერვალი. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, სსიპ „იუსტიციის სახლმა“ 2019 წლის 15 იანვრის № 108 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 26 ოქტომბრის № NAT02-199/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „ნივე ჯგუფის“ დააკისრა პირგასამტეხლო 14 747 ლარის ოდენობით.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 17 იანვრის № 139 წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 8 ნოემბრის № NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 7 იანვრის

ჩათვლით), მისთვის უნდა მიენოდეზინა სკამები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 93 498 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 მარტი. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, სსიპ „იუსტიციის სახლმა“ 2019 წლის 17 იანვრის №140 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 8 ნოემბრის №NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „ნივე ჯგუფს“ დააკისრა პირგასამტეხლო 9 349,80 ლარის ოდენობით.

### **3. მიმწოდებლის პოზიცია**

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

### **4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2018 წლის 5 და 7 სექტემბერს სსიპ „იუსტიციის სახლმა“ გამოაცხადა NAT180014203 და NAT180014365 ელექტრონული ტენდერები ავეჯის (CPV39100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 22 ოქტომბრის №6 და 2018 წლის 1 ნოემბრის №4 სხდომის ოქმებით შპს „ნივე ჯგუფი“ (ს/ნ: 400159190) გამოვლინდა გამარჯვებულად NAT180014365 და NAT180014203 ელექტრონულ ტენდერებში. მიმწოდებელი მინვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 26 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა №NAT02-199/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით), შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიენოდეზინა საოფისე ავეჯი. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 147 470 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 28 თებერვალი.

4.4. 2018 წლის 8 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა № NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 7 იანვრის ჩათვლით), შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიენოდეზინა სკამები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 93 498 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 მარტი.

4.5. 2018 წლის 24 დეკემბრის № 2869 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოსთხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა იგი ვალდებულებების შესრულებას და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეწყვეტდა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

4.6. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, სსიპ „იუსტიციის სახლმა“ 2019 წლის 15 იანვრის №108 და 17 იანვრის №140 წერილებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 26 ოქტომბრის №NAT02-199/18 და 2018 წლის 8 ნოემბრის №NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები. NAT02-199/18 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ნივე ჯგუფს“ დაეკისრა პირგასამტეხლო 14 747 ლარის ოდენობით, ხოლო №NAT02-203/18 ხელშეკრულების საფუძველზე – 9 349,80 ლარის ოდენობით.

## **სამოტივაციო ნაწილი**

### **5. შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ნივე ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### **6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### **7. სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4

პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა 2018 წლის 26 ოქტომბრის № NAT02-199/18 და 2018 წლის 8 ნოემბრის № NAT02-203/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/ მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ორი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ნივე ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ნივე ჯგუფი“ (ს/ნ: 400159190) 2019 წლის 12 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე